ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

უფროსს ბატონ გიგა გიგაშვილს,

დამოუკიდებელ ექსპერტ გრიგოლ დეისაძის

მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასების

ა ნ გ ა რ ი შ ი



თ ბ ი ლ ი ს ი

აგვისტო 2018

1. შ ე ს ა ვ ა ლ ი

ნაკვეთის მეპატრონის შპს „ტეტრისი“-ს (ს/კ 404895556) მომართვის საფუძველზე, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა მიწის ნაკვეთზე,- საკადასტრო კოდით: № 01.14.05.007.217. მისამართზე,- ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №5, №7. არსებული მერქნიანი მცენარეები. ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა, ფართით-7056 კვ.მ..

კვლევა ჩატარდა მიმდინარე წლის 31 აგვისტო-2 სექტემბერ პერიოდში. მცენარეები შეფასებული იქნა ვიზუალურად; მოვახდინეთ მცენარეების ციფრული ფოტოფიქსაცია. ჩვენს მიერ შეფასდა და აიზომა: მათი დიამეტრები ნიადაგის ზედაპირიდან 10 სმ. დონეზე ხეებისათვის, ხოლო ბუჩქებისათვის პროექციული დაფარულობა (კვადრატულ მეტრებში); სიმაღლე მეტრებში, სიჯანსაღე (ვიზუალური ნიშნებით დაფიქსირდა მექანიკური დაზიანება და/ან დაავადებათა არსებობა). მცენარეების მდებარეობა, ნუმერაციით, დატანილი იქნა ტოპოგეგმაზე.

2. მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა

ქვემოთ ცხრილის სახით მოგვყავს ნაკვეთზე არსებული მერქნიანი მცენარეების ნუსხა და მათი მახასიათებლები:

ნომერი ტოპო-გეგმაზე	მცენარის ქართული სახელწოდება	მცენარის ლათინური სახელწოდება	ბიომორფა	სიმაღლე მ.-ში	დიამეტრი ნიად.ზედაპ.10 სმ.-ზე	პროექციული დაფარულობა მ²	სიჯანსაღე	შენიშვნა	გადარგვის შესაძლებლობა +/-
1	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	14	46	-	საღი	-	-
2	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	16	39	-	საღი	-	-
3	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	17	51	-	საღი	-	-
4	ბალი	Prunus cerasus	ხე	7	25	-	საღი	-	+
5	ქლიავი	Prunus domestica	ხე	10	9	-	საღი	-	+
6	ქლიავი	Prunus domestica	ხე	1.5	3	-	საღი	-	+
7	ბალი	Prunus cerasus	ხე	10	39	-	დაზიანებული	დაზიანებული მერქნით	-
8	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	16	40	-	საღი	-	-
9	კაკალი	Juglans regia	ხე	12	27	-	საღი	-	-
10	ქლიავი	Prunus domestica	ხე	5	12	-	საღი	-	+
11	ვაზი	Vitis vinifera	ლიანა	-	10	10	საღი	4 ძირი (ტალავერი)	+
12	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	13	40	-	საღი	-	-
13	ჭერამი	Prunus	ხე	10	45	-	საღი	-	-

		armeniaca							
14	ალვის ხე	Populus nigra italica	ხე	26	100	-	საღი	-	-
15	ალვის ხე	Populus nigra italica	ხე	20	46	-	საღი	-	-
16	თელა	Ulmus minor	ხე	10	30	-	საღი	-	-
17	აკაცია	Robinia pseudoacacia	ხე	≤1	-	20	საღი	ამონაყარის ჯგუფი	+
18	კანადური ნეკერჩხალი	Acer negundo	ხე	7	6	-	საღი	-	+
19	კანადური ნეკერჩხალი	Acer negundo	ხე	7	8	-	საღი	-	+
20	აკაცია	Robinia pseudoacacia	ხე	6	10	-	საღი	-	+
21	აკაცია	Robinia pseudoacacia	ხე	7	8	-	საღი	-	+
22	ბალღოჯი	Prunus mahaleb	ხე	7	10	-	საღი	-	+
23	აკაცია	Robinia pseudoacacia	ხე	≤5	≤6	-	საღი	ამონაყარის ჯგუფი	+
24	თელა	Ulmus minor	ხე	8	13	-	საღი	-	+
25	თელა	Ulmus minor	ხე	8	35	-	ზეხმელი	მოსაჭრელი	-
26	თელა	Ulmus minor	ხე	≤3	3	-	საღი	ამონაყარის ჯგუფი	+
27	თელა	Ulmus minor	ხე	2.5	6	-	საღი	-	+
28	თელა	Ulmus minor	ხე	2.5	8+4+3	-	საღი	მრავალღეროიანი	+

29	თელა	Ulmus minor	ხე	2.5	9	-	საღი	-	+
30	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	5	6	-	საღი	-	+
31	თელა	Ulmus minor	ხე	3	5	-	საღი	-	+
32	თელა	Ulmus minor	ხე	4	7+2+4	-	საღი	მრავალღეროიანი	+
33	თელა	Ulmus minor	ხე	6	8+4+2+2	-	საღი	მრავალღეროიანი	+
34	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	4	12+10+8	-	საღი	მრავალღეროიანი	+
35	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	8	16+10	-	საღი	ორღეროიანი	+
36	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	9	15+14+14 +10+13+8	-	საღი	მრავალღეროიანი	+
37	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	3	7	-	საღი	-	+
38	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	8	17+10+10 +11	-	საღი	მრავალღეროიანი	+
39	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	2.5	7+6+5	-	საღი	ამონაყარი	+
40	თელა	Ulmus minor	ხე	12	44	-	საღი	-	-
41	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	7	15+12+9	-	საღი	მრავალღეროიანი	+
42	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	4	7+5	-	საღი	ორღეროიანი	+
43	თელა	Ulmus minor	ხე	3	9	-	საღი	-	+
44	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	7	24	-	საღი	-	+

45	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	5	13	-	საღი	-	+
46	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	16	53	-	დაზიანებული	დაზიანებული მერქნით	-
47	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	12	32	-	დაზიანებული	დაზიანებული მერქნით	-
48	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	10	18	-	საღი	-	+
49	ამერიკული იფანი	Fraxinus americana	ხე	16	33	-	საღი	-	-
50	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	15	27	-	საღი	-	-
51	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	13	27	-	ზეხმელი	მოსაჭრელი	-
52	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	10	28		ზეხმელი	მოსაჭრელი	-
53	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	17	35	-	საღი	-	-
54	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	17	37	-	საღი	-	-
55	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	16	36	-	საღი	-	-
56	გრაკლა	Spiraea hypericifolia	ბუჩქი	≤2	-	25	საღი	7 ძირი	+
57	აკაკი	Celtis caucasica	ხე	≤2.5	6	1	საღი	3 ამონაყარი	+
58	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	16	55	-	საღი	-	-
59	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	13	30	-	საღი	-	-
60	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	17	57	-	საღი	-	-
61	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	18	62	-	დაზიანებული	ნახევრად ხმელი	-

62	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	12	40	-	საღი	-	-
63	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	14	33	-	საღი	-	-
64	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	14	60	-	საღი	-	-
65	შავი ფიჭვი	Pinus nigra	ხე	13	42	-	საღი	-	-
66	თელა	Ulmus minor	ხე	12	20	-	საღი	-	+
67	კაკალი	Juglans regia	ხე	16	34	-	საღი	-	-
68	თელა	Ulmus minor	ხე	2	3	-	საღი	აღმონაცენი	+
69	წნორი	Salix alba	ხე	5	104+70	-	საღი	-	-
70	კაკალი	Juglans regia	ხე	5	6	-	საღი	-	+
71	კაკალი	Juglans regia	ხე	2	3	-	საღი	-	+
72	თელა	Ulmus minor	ხე	1	1	-	საღი	2 აღმონაცენი	+
73	მაყვალი	Rubus caesius	ბუჩქი	4	-	100	საღი	ბუჩქნარი	+
74	თელა	Ulmus minor	ხე	9	23	-	საღი	-	+
75	კაკალი	Juglans regia	ხე	8	10	-	საღი	-	+
76	ვაშლი	Malus domestica	ხე	4	18+19+9	-	საღი	მრავალღეროიანი, დაბუჩქული	+
77	კომში	Cydonia oblonga	ხე	4	-	9	საღი	დაბუჩქული	+
78	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	7	52+39	-	საღი	ორღეროიანი	-
79	ბოკვი	Acer velutinum	ხე	14	30+27+16	-	საღი	-	-
80	კაკალი	Juglans regia	ხე	2	3	-	საღი	აღმონაცენი	+
81	ვაზი	Vitis vinifera	ლიანა	-	6	50	საღი	ასულია კაკალზე #80	+

82	ალვის ხე	Populus nigra italica	ხე	12	16	-	საღი	-	+
83	კაკალი	Juglans regia	ხე	1.5	1	-	საღი	-	+
84	აკაცია	Robinia pseudoacacia	ხე	6	7+4+3	-	საღი	მრავალღეროიანი	+
85	აკაცია	Robinia pseudoacacia	ხე	15	12	-	საღი	-	+
86	აკაცია	Robinia pseudoacacia	ხე	12	5	-	საღი	-	+
87	ვაზი	Vitis vinifera	ლიანა	-	4	10	საღი	-	+
88	აკაკი	Celtis caucasica	ხე	3	4	-	საღი	-	+
89	ასკილი	Rosa canina	ბუჩქი	3	-	5	საღი	-	+
90	ტყემალი	Prunus divaricata	ხე	5	8	-	საღი	-	+
91	ბერყენა	Pyrus salicifolia	ხე	2	3	-	საღი	-	+
92	თუთა	Morus alba	ხე	15	22	-	საღი	-	+
93	თუთა	Morus alba	ხე	15	22	-	საღი	-	+
94	ალვის ხე	Populus nigra italica	ხე	30	90	-	საღი	სიმძიმის ცენტრი გადახრილია ჩრდილოეთით. სახიფათოა ქარვარდნის მხრივ.	-
95	ცრუაკაცია (ჯგუფურად მოზარდი)	Robinia pseudoacacia	ხე	10-18	12-40	60	საღი	წარმოდგენილია 20 -დე ხის ჯგუფი	-/+

96	ცრუაკაცია (ჯგუფურად მოზარდი)	Robinia pseudoacacia	ხე	2-4	1-2.5	30	საღი	წარმოდგენილია 15 -დე ახალგაზრდა თვითნათესის ჯგუფი (წინა ჯგუფთან შერევით)	+
97	ცრუაკაცია (ჯგუფურად მოზარდი)	Robinia pseudoacacia	ხე	2-4	1-2.5	40	საღი	წარმოდგენილია 20 -დე ახალგაზრდა თვითნათესის ჯგუფი	+
98	თელა	Ulmus minor	ხე	4	2.5	-	საღი	-	+
99	თელა	Ulmus minor	ხე	7	5	-	საღი	-	+
100	კაკალი	Juglans regia	ხე	3	5	-	საღი	-	+
101	კაკალი	Juglans regia	ხე	7	6	-	საღი	-	+
102	კაკალი	Juglans regia	ხე	4	4	-	საღი	-	+
103	თუთა	Morus alba	ხე	8	15+5+3+7	-	საღი	-	+
104	ცრუაკაცია	Robinia pseudoacacia	ხე	12	18	-	საღი	-	+
105	გრაკლა	Spiraea cantoniensis	ბუჩქი	1.5-2	-	8	საღი	ჯგუფი 6 ერთეული	-
106	ცრუაკაცია (ჯგუფურად მოზარდი)	Robinia pseudoacacia	ხე	2-7	1-2.5	8	საღი	წარმოდგენილია 10 -დე ახალგაზრდა თვითნათესის ჯგუფი	+
107	ჭერამი	Prunus armeniaca	ხე	7	16	-	საღი	-	+
108	გრაკლა	Spiraea	ბუჩქი	1.5-2	-	10	საღი	ჯგუფი 7	-

		cantoniensis						ერთეული	
109	ტყემალი	Prunus divaricata	ხე	6	12+10	-	საღი	-	+
110	ხურმა	Diospyros kaki	ხე	6	7+3	-	საღი	-	+
111	ჭერამი (თვითნათესი)	Prunus armeniaca	ხე	1.5-3	3-4	15	საღი	6-დე ერთ. ერევა ტყემალსა და ცრუაკაციას (112-113-ს)	+
112	ტყემალი	Prunus divaricata	ხე	1.5-2	2-4	15	საღი	5-დე ერთ. ერევა ჭერამსა და ცრუაკაციას (111 და113-ს)	+
113	ცრუაკაცია	Robinia pseudoacacia	ხე	2-3	2-4	15	საღი	10-დე ერთ. ერევა ტყემალსა და ჭერამს (111 და112-ს)	+
114	ვაზი	Vitis vinifera	ლიანა	-	3-5	200	საღი	ვერტიკალურ კედელზეა გადმოფენილი	+
115	კვიპაროზი	Cupressus sempervirens f. horizontalis	ხე	15	27	-	საღი	-	-
116	კვიპაროზი	Cupressus sempervirens f. horizontalis	ხე	17	25	-	საღი	-	+
117	კვიპაროზი	Cupressus sempervirens f. horizontalis	ხე	15	26	-	საღი	-	-
118	კვიპაროზი	Cupressus sempervirens f.	ხე	17	28	-	საღი	-	-

		horizontalis							
119	კვიპაროზი	Cupressus sempervirens f. horizontalis	ხე	14	30	-	საღი	-	-
120	კვიპაროზი	Cupressus sempervirens f. horizontalis	ხე	15	28	-	საღი	-	-
121	უსურვაზი	Parthenocisus quinquifolius	ლიანა	-	1-2	16	საღი	ვერტიკალურ კედელზეა გადმოფენილი	+

3. დ ა ს კ ვ ნ ა - რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

აღრიცხული მცენარეულობა არაერთგვაროვანია. აქ გვხვდება როგორც საკმაოდ ფასეული, კარგად განვითარებული მერქნიანი ეგზემპლარები, ასევე მრავლადაა ინვაზიური; ცუდად ფორმირებული და/ან ზედმეტად ჩახშირებული ხე-ბუჩქები, თუ ნაზარდი.

ხეების ნაწილი გადაბერებულია. არის ზეხმელი და ქარვარდნისადმი არამდგრადი ხეებიც, რომელთა მოჭრა აუცილებელია (№№-25; 46; 47; 51; 52; 61; 95.).

შეკრულ ხეების კორომებში ზედმეტადაა განვითარებული ნაზარდი და ბუჩქნარი, რომლებიც გასაწმენდი და გამოსახშირია. აუცილებელია ინვაზიური სახეობების გამრავლების კონტროლი და მექანიკური გამოხშირვა.

არსებული მცენარეულობის საღი და ფასეული ნაწილის საწყისზე, არსებობს კარგი ლანდშაფტურ-დეკორატიული ხარისხის ბაღის გაშენების პერსპექტივა.

აღნიშნულ ნაკვეთზე დაგეგმილი სამშენებლო ნებართვის მოსაპოვბლად, ნაკვეთის მეპატრონე ითხოვს, რომ დართოთ ნება მოაცილონ გარკვეული მერქნიანი მცენარეები, რომლებიც ხელს უშლის სამშენებლო პროექტის განხორციელებას.

ამრიგად ზემოთაღნიშნული ანგარიშის მიხედვით აღწერილი მცენარეებიდან გვესაჭიროება შემდეგი ნომრებით აღნიშნული მერქნიანი მცენარეების მომოცილება,- მოჭრა ან გადარგვა:

მოჭრის ნებართვა საჭიროა შემდეგ ნომრიან მცენარეებზე:

№№: 1; 2; 3; 7; 8; 9; 12; 13; 14; 15; 16; 25; 40; 47; 49; 69; 73; 79.

გადარგვის ნებართვა საჭიროა შემდეგ ნომრიანი მცენარეებისათვის:

№№: 4; 5; 6; 10; 11; 17; 18; 19; 20; 21; 22; 23; 24; 26; 27; 28; 29; 30; 31; 32; 33; 34; 35; 36; 37; 38; 39; 41; 42; 43; 44; 45; 46; 48; 70; 72; 80; 81.

ზემოთმოყვანილი მოსაცილებელი მცენარეებიდან:

№№: 4; 5; 6; 7; 8; 10; 12; 13; 34; 44; 45; 46. მცენარეები წარმოადგენენ ე.წ. ხილ-კენკროვან კულტურებს და არსებული კანონმდებლობით მათი მოჭრა არ საჭიროებს ნებართვას.

მოსაჭრელებიდან №№ 14 და 15 დიდასაკოვანი და ძლიერ მაღალი ალვის ხეებია, რომლებიც ქარვარდნისადმი არამდგრადია და მათი მოჭრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელიცაა.

№25 ზეხმელი თელაა რომელიც ასევე აუცილებლად მოსაჭრელია;

№№ 47 და 49 ამერიკული იფნებია,-აგრესიულად განვრცობადი ინვაზიური სახეობა,-ამ ფაქტორის გამო, მათი მოცილება რეკომენდირებულია.

№69-წნორი,-გადაბერებული და არასწორად ფორმირებულია, ამდენად დაბალღირებულია დეკორაციული თვალსაზრისით.

№73 მაყვლის ბუჩქნარია, რომლის ადგილი არ არის ქალაქის გამწვანებაში.

მოსაცილებელ მცენარეთა დიდი ნაწილი ექვემდებარება გადარგვას და მათი გადარგვა შესაძლებელია ნაკვეთზე არსებულ საბაღე განაშენებისათვის განკუთვნილ ნაწილზე.

ნაკვეთის მფლობელს გათვალსწინებული აქვს K3 კოეფიციენტით გათვალისწინებულზე (705.6 კვ.მ) მნიშვნელოვნად დიდ ფართზე გააშენოს მაღალი სტანდარტების დეკორატიული ბაღი, რომელშიაც დაირგვება მოთხოვნილ მოსაცილებელ მცენარეთა საკომპენსაციო, თუ გადასარგავი მცენარეები.

მშენებლობის ნებართვის გაცემისას მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოთაღნიშნული გარემოებების გათვალისწინება.

11.09.20

გრიგოლ დეისაძე

4. დ ა ნ ა რ თ ი
   ფოტოები





























დ ე ნ დ რ ო პ რ ო ე ქ ტ ი:

დენდროპროექტის კონცეფცია დაფუძნებულია არსებული მცენარეულობის ფასეული ნაწილის შენარჩუნებასა და მათ ჰარმონიულ ინტეგრირებაში საბოლოო გასაშენებელი დეკორატიული თარგებში.

ნაკვეთის მფლობელს გათვალსწინებული აქვს K3 კოეფიციენტით გათვალისწინებულზე (705.6 კვ.მ) მნიშვნელოვნად დიდ ფართზე გააშენოს მაღალი სტანდარტების დეკორატიული ბაღი, რომელშიაც დაირგვება მოთხოვნილ მოსაცილებელ მცენარეთა საკომპენსაციო, თუ გადასარგავი მცენარეები.

პროექტის მიხედვით ასაშენებელი კორპუსების მომცავი პერიმეტრის ქვეშ გათვალისწინებულია მიწისქვეშა ავტოსადგომებისა და დამხმარე ფართების მშენებლობა; ამ ფართების ნიადაგის დონის ზედაპირზე, შესაძლებელი იქნება მხოლოდ კონტეინერული ბაღების მოწყობა, რომლებიც დიდტანადი მერქნიანი მცენარეების გაშენებას შეუძლებელს ხდის. ამ მიზეზით დენდროპროექტისათვის გათვლილია ნაკვეთის ორი დამოუკიდებელი ფრაგმენტის ათვისება: ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში არსებული ტყე-ბუჩქნარი ფორმაცისა და მეორე,-ნაკვეთის სამხრეთ ნაწილის თავისუფალ გრუნტზე.


ქვემოთ მოგვყავს ამ ფრაგმენტების დენდროპროექტები ცალ-ცალკე (თვალსაჩინოებისა და მეტი დეტალიზაციის მისაღწევად.).

1. ჩრდილო-აღმოსავლეთის ფრაგმენტი.
   ფრაგმენტის ფართია --- კვ.მ.

   ამ ფრაგმენტზე წარმოდგენილია მცენარეულობა, რომელიც არაერთმნიშვნელობის მერქნიანი მცენარეებითაა წარმოდგენილი. მათი ფასეული ნაწილი შენერჩუნებული იქნება:
   ესეთის საღი შავი ფიჭვები ((ნომრები მითითებულია შეფასების ცხრილის მიხედვით)№№: 50; 53; 54; 55; 58; 59; 60; 61; 62; 63; 64; 65;)
   კაკლები(№№:67; 75)
   თელა(№№:66; 74)
   აკაციები (85; 86 და ჯგუფური ნაზარდიდან 95; 96;97 -დან გამოიყოფა და შენარჩუნდება საუკეთესო ეგზემპლარები)
   ბოკვი (№:79)
   თუთა (№№:92; 93; 103)

გრაკლა (№№: 56; 105)
ამერიკული იფანი (№№: 47; 48; 49)

ქვემოთ მოგვავს ნარგაობის სქემა:



.

ამ სქემაში დასარგავი მცენარეები შემდეგნაირად განისაზღვრება:

№1 - კავკასიური ცაცხვი (Tilia begoniifolia) – დასარგავი ნერგი არანაკლებ 3.5 მ. სიმაღლის, დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით.(9 ერთეული)

№ 2 -არსებული შავი ფიჭვები (Pinus nigra) (12ერთეული)

№ 3- ლეკის ხე (Acer platanoides 'Crimson King') – დასარგავი ნერგი არანაკლებ 3.5 მ. სიმაღლის, დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით.(8 ერთეული)

№4- ცხენისწაბლა (Aesculus hippocastanum) – დასარგავი ნერგი არანაკლებ 3.5 მ. სიმაღლის, დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით.(3 ერთეული)

№5-იფანი(Fraxinus excelsior 'Jaspidea')-დასარგავი ნერგი არანაკლებ 3.5 მ. სიმაღლის, დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით.(4 ერთეული)

№6-უთხოვარი (Taxus baccata 'Fastigiata')- ნერგი უნდა იყოს დახურული ფესვთა სისტემით.

ნერგის სიმაღლე 1.3-1.5 მ. Ctr 20 ლიტრი.(11 ერთეული)

№7-აუკუბა (Aucuba japonica 'Variegata'))- დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით. ნერგის სიმაღლე არანაკლებ 1 მ. Ctr 20 ლიტრი.(6 ერთეული)

№ 8 - თელა (Ulmus carpinifolia 'Silvery Gem')- დასარგავი ნერგი არანაკლებ 3.5 მ. სიმაღლის, დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით.(15 ერთეული)

№ 9 - წყავი (Prunus laurocerasus 'Castlewellan')- დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით. ნერგის სიმაღლე არანაკლებ 1 მ. Ctr 20 ლიტრი.(2ერთეული)


№ 10-ცხრატყავა (Lonicera nitida)- დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით. ნერგის სიმაღლე არანაკლებ 0.6 მ. Ctr 10 ლიტრი.(4 ერთეული)

№11აბელია (Abelia x grandiflora))- დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით. ნერგის სიმაღლე არანაკლებ 0.6 მ. Ctr 10 ლიტრი.(4 ერთეული)

№12 ყვავილნარები (mix border) –მრავალწლოვანი ბალახოვანი დეკორატიული მცენარეებისა და ერთ-ორწლოვანი დეკორატიული ბალახოვანი მცენარეების ყვავილნარების მიქს ბორდიური.(10 ფრაგმენტი).



2. სამხრეთის ფრაგმენტი.
   ფრაგმენტის ფართია --- კვ.მ.



№1 - კავკასიური ცაცხვი (Tilia begoniifolia) – დასარგავი ნერგი არანაკლებ 3.5 მ. სიმაღლის, დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით.(7 ერთეული)

№2 - ამბრის ხე (Liquidambar styraciflua) - დასარგავი ნერგი არანაკლებ 3.5 მ. სიმაღლის, დარგვა შესაძლებელია ღია ფესვთა სისტემით, მხოლოდ სავეგეტაციო სვენების პერიოდში (ფოთოლცვენის შემდგომ და კვირტების გახსნამდე), ან ნიადაგის კომით.n (7 ერთეული)



მთლიანობაში გასამწვანებელ ფართზე ირგვება ახალი მერქნიანი მცენარის ნერგები შემდეგი რაოდენობით:

ხე - 39 ნერგი;

ბუჩქი - 27 ნერგი.